თვის მიმოხილვა

აპრილი

საქართველოს ეროვნული ბანკი

2021

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259

სარჩევი

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება 4
2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა 8
3. საბანკო სექტორი 10
4. სავალუტო ბაზარი 15
5. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი 19
6. საგარეო სექტორის მიმოხილვა 21

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება

2021 წლის აპრილში წლიურმა ინფლაციამ 7.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო მარტთან შედარებით ფასები 0.9 პროცენტით გაიზარდა.

აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად საწვავის გაძვირებამ იმოქმედა, ჯამში 0.3 პროცენტული პუნქტით (პპ.).

წლიურ ჭრილში, ინფლაციაზე ყველაზე დიდ გავლენას, 1.4 პპ-ით, კომუნალურ გადასახადები ახდენდა. როგორც წინა ანგარიშში აღვნიშნეთ ამის მიზეზი მეტწილად კომუნალური გადასახადების სუბსიდირების დასრულებაა[1].

მსოფლიოში მობილობის აღდგენასთან ერთად გაიზარდა ნავთობზე მოთხოვნა და, შედეგად, ფასებიც, რამაც საწვავიც გააძვირა. საწვავის წვლილი წლიური ინფლაციის ზრდაში აპრილში 1.1 პპ-ს გაუტოლდა. ჯანმრთელობის დაცვა წლიურად 13.8 პროცენტით გაძვირდა (1.0 პპ წვლილი ინფლაციაში), ხოლო სიგარეტის წვლილმა ინფლაციაში 0.3 პპ შეადგინა. ამის გარდა, ლარის ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებამ სხვა საქონელის გაძვირებაზეც იმოქმედა.

სურსათის წლიური ინფლაცია 2.5 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო წვლილმა მთლიან ინფლაციაში 0.7 პპ-მდე დაიკლო. თუმცა აქედან გამოსარჩევია მსოფლიო ბაზარზე გაძვირების გამო მზესუმზირის ზეთზე ფასის მკვეთრი, 77 პროცენტიანი, მატება, რამაც მთლიანი ინფლაცია 0.6 პპ-ით გაზარდა. ინფლაციის შემცირების მიმართულებით კარტოფილის და ხახვის გაიაფება მოქმედებდა, შესაბამისად, 0.7 და 0.2 პპ-ით.

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს გამორიცხავს, 6.9 პროცენტამდე გაიზარდა.

მთლიანი და საბაზო (სურსათისა და ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაცია



წყარო: საქსტატი

[1] მთავრობის მიერ კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გამო 2020 წლის დეკემბერში კომუნალური გადასახადების ინდექსები ნოემბერთან შედარებით შემცირდა, ხოლო 2021 მარტში ეს ინდექსები ნოემბრის დონესთან შედარებით მცირედით გაიზარდა. თუმცა, პროცენტულად ზრდა გაცილებით მეტი გამოვიდა, ვიდრე - შემცირება. კომუნალური გადასახადების უცვლელი წონის პირობებში, აღნიშნულმა სხვაობამ წლიური ინფლაციის დონე მომდევნო ერთი წლის მანძილზე დაახლოებით 1.2 პროცენტული პუნქტით გაზარდა.

წლიური ფასების ცვლილება სამომხმარებლო კალათის ჯგუფების მიხედვით



წყარო: საქსტატი

აპრილში წლიურმა ინფლაციამ იმპორტირებულ საქონელზე 12.7 პროცენტი, ხოლო ადგილობრივად წარმოებულ საქონელზე 5.4 პროცენტი შეადგინა. შერეული საქონელი 5.7 პროცენტით გაძვირდა.

იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია



წყარო: საქსტატი

2020 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ხანმოკლე საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი, შესაბამისად, 1.1, 2.8 და 1.8 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 0.2 პროცენტით მოიმატა.

წლიური მაჩვენებლების მიხედვით, ხანმოკლე, საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი, შესაბამისად, 8.5, 6.9 და 6.7 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 4.8 პროცენტით მოიმატა.

წლიური ინფლაციის მაჩვენებლები სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



წყარო: საქსტატი

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და წვლილი სფი-ში (პროცენტული პუნქტი).

	2020 წლის დეკემბრის წონები	აპრ21/მარ21		აპრ21/აპრ20	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.9%	0.9%	7.2%	7.2%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	32.2%	0.3%	0.1%	3.0%	1.0%
სურსათი	28.9%	0.3%	0.1%	2.5%	0.7%
პური და პურპროდუქტები	5.6%	0.4%	0.0%	6.4%	0.3%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	1.9%	0.1%	4.6%	0.3%
თევზეული	0.5%	3.6%	0.0%	9.4%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	-2.6%	-0.2%	6.1%	0.4%
ზეთი და ცხიმი	1.9%	4.2%	0.1%	40.2%	0.6%
ხილი, ყურძენი	1.6%	5.3%	0.1%	-18.2%	-0.4%
ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.3%	-5.4%	-0.2%	-22.2%	-1.0%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	2.4%	0.1%	12.3%	0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.1%	0.0%	6.5%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	3.3%	1.1%	0.0%	7.1%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	0.9%	0.1%	8.0%	0.5%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.8%	4.9%	0.2%	4.7%	0.2%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	-0.5%	-0.1%	7.1%	0.8%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	2.1%	0.1%	9.0%	0.5%
ჯანმრთელობის დაცვა	7.8%	1.0%	0.1%	13.8%	1.0%
ტრანსპორტი	13.0%	3.0%	0.4%	12.4%	1.6%
კავშირგაბმულობა	3.6%	0.1%	0.0%	0.2%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.7%	0.5%	0.0%	3.4%	0.1%
განათლება	4.6%	0.3%	0.0%	1.5%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.4%	1.5%	0.1%	15.0%	0.8%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	0.3%	0.0%	8.2%	0.4%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	58.1%	1.1%	0.6%	8.5%	5.0%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.3%	2.8%	0.2%	6.9%	0.5%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.5%	1.8%	0.1%	6.7%	0.3%
მომსახურება	30.1%	0.2%	0.1%	4.8%	1.4%

წყარო: საქსტატი

2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა

მონეტარული აგრეგატები

2021 წლის აპრილში წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 865.1 მლნ ლარით (18.9 პროცენტით) გაიზარდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 5.4 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, წინა თვესთან შედარებით, მონეტარული ბაზა 73.5 მლნ ლარით (1.5 პროცენტით) გაიზარდა. პერიოდის ბოლოსათვის, სარეზერვო ფულის წლიური ზრდის ტემპი 16.6 პროცენტს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონებით გაყიდა 82.9 მლნ აშშ დოლარი. ამასთან, Bmatch პლატფორმის მეშვეობით, სებ-ის მიერ გაყიდული უცხოური ვალუტის მოცულობა 0.8 მლნ აშშ დოლარი იყო. შიდასამთავრობო კონვერტაციებით, საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა, აპრილში 64.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 147.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.

აპრილში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 259.8 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1496.2 მლნ ლარს გაუტოლდა.

საანგარიშო პერიოდში, განთავსდა 20 მლნ ლარის და დაიფარა იმავე ოდენობის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, კომერციული ბანკები სარგებლობდნენ რეფინანსირების სესხებით. საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, ამ ინსტრუმენტით გაცემული სესხების ნაშთი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 650.0 მლნ ლარით და 1,860.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელია და 400 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ერთდღიანი სესხი 226.3 მლნ ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთის ოდენობა გაიზარდა 20.7 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 896.4 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 3,181.2 მლნ ლარს გაუტოლდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის ზეგავლენით, თვის განმავლობაში სარეზერვო ფულის მოცულობა 865.1 მლნ ლარით გაიზარდა. მათ შორის, ნაღდი ფული მიმოქცევაში - 169.2 მლნ ლარით, ხოლო საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები - 698.3 მლნ ლარით გაიზარდა. ამასთან კომერციული ბანკების ერთდღიან დეპოზიტებზე არსებული ნაშთების ოდენობა 2.4 მლნ ლარით შემცირდა.

სარეზერვო ფულის დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21	მარ-21	აპრ-21
სარეზერვო ფული	4 885 637	4,943,702	4,577,073	5,442,135
ფული მიმოქცევაში	4 417 990	4,472,684	4,469,501	4,638,706
ბანკების დეპოზიტები	467 647	471,018	107,572	803,429
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	333 647	459,018	48,154	746,429
ერთდღიანი დეპოზიტები	134 000	12,000	59,418	57,000

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საშუალო სარეზერვო ფულის დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21	მარ-21	აპრ-21
სარეზერვო ფული	5,062,263	4,971,242	5,028,096	5,101,629
ფული მიმოქცევაში	4,473,858	4,456,799	4,499,571	4,537,656
ბანკების დეპოზიტები	588,405	514,443	528,525	563,973
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	490,150	431,727	461,849	500,273
ერთდღიანი დეპოზიტები	98,255	82,716	66,677	63,699

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფართო ფული

2021 წლის აპრილში, ფართო ფულის, M3-ის აგრეგატი 608.7 მლნ ლარით შემცირდა და თვის ბოლოსათვის 31.3 მლრდ ლარი შეადგინა. წლიური ზრდის ტემპი კი 24.1 პროცენტი იყო. საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დეპოზიტებზე 814.4 მლნ ლარით კლება დაფიქსირდა და აპრილის ბოლოსთვის, 17.5 მლრდ ლარს გაუტოლდა. ამავე პერიოდში, 111.7 მლნ ლარით გაიზარდა ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების ოდენობა და მისმა მოცულობამ - 10.1 მლრდ ლარი შეადგინა. ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი, საანგარიშო პერიოდში, 1.5 პროცენტით (205.7 მლნ ლარით) გაიზარდა.

ფულადი აგრეგატების დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21	მარ-21	აპრ-21
ფართო ფული /M3/	30,081,265	31,098,246	31,931,184	31,322,492
ფულადი მასა /M2/	13,191,646	13,457,627	13,638,261	13,843,949
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	3,647,322	3,671,090	3,621,975	3,715,975
ლარები მიმოქცევაში	4,417,990	4,472,684	4,469,501	4,638,706
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	9,544,324	9,786,537	10,016,286	10,127,974
დეპოზიტები უცხოური ვალუტით	16,889,618	17,640,619	18,292,923	17,478,543

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

3. საბანკო სექტორი

2021 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 600.2 მლნ ლარით (1.7 პროცენტით) შემცირდა და 35.6 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2020 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში, მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 29.1 პროცენტით არის გაზრდილი. სადეპოზიტო ვალდებულებების კლებაზე ძირითადი გავლენა კურსის გაუფასურების შედეგად, უცხოური ვალუტის დეპოზიტების ლარით გამოსახული მაჩვენებლის მატებამ განაპირობა.

სადეპოზიტო ვალდებულებები **მილიარდი ლარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, ლარით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა 31.2 მლნ ლარით (0.2 პროცენტით) გაიზარდა და 13.2 მლრდ ლარი შეადგინა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები კლების მიმართულებით მოქმედებდა (შემცირდა 110.1 მლნ ლარით), ხოლო იურიდიული და ფიზიკური პირის დეპოზიტები შესაბამისად 14.1 და 127.2 მლნ ლარით გაიზარდა.

კომერციულ ბანკებში, უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 3.9 პროცენტიანი (263.2 მლნ აშშ დოლარი) კლება დაფიქსირდა და პერიოდის ბოლოს, 6.49 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული შემცირება ძირითადად, იურიდიული პირების ვადიანი დეპოზიტების მოცულობის კლებით არის განპირობებული.

სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, 2021 წლის აპრილში 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 62.9 პროცენტს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად, 52.4 და 76.8 პროცენტს შეადგენდა.

მიმდინარე წლის აპრილში, საშუალო საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე უცვლელია და 6.2 პროცენტის ნიშნულზეა. ეროვნული ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე, ბანკების მიერ გადახდილი სარგებლის წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთი წინა პერიოდთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 8.8 პროცენტი შეადგინა. იურიდიული პირების ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე, საპროცენტო განაკვეთმა, წინა თვესთან შედარებით 0.6 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 8.8 პროცენტს შეადგინა. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე წლიური განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 8.9 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების წლიური განაკვეთი 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 1.4 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტით იურიდიული პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 1.9 პროცენტს უტოლდება. უცხოური ვალუტით ფიზიკური პირების დეპოზიტებზე განაკვეთი გაიზარდა 0.1 პროცენტული პუნქტით და 1.5 პროცენტის ნიშნულზეა. 2020 წლის აპრილში, არსებულ განაკვეთებთან შედარებით, ეროვნული ვალუტით დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 1.2 პროცენტული პუნქტით 8.8 პროცენტამდე შემცირდა. კლება დაფიქსირდა უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების განაკვეთებზეც, 1.1 პროცენტული პუნქტით და 1.5 პროცენტს გაუტოლდა.

დეპოზიტები ეროვნული ვალუტით



დეპოზიტები უცხოური ვალუტით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების ზრდის ტემპი წინა თვესთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 1,106.9 მლნ ლარით გაიზარდა და მთლიანი მოცულობა 39.5 მლრდ ლარს გაუტოლდა. საკრედიტო პორტფელზე ზრდის მიმართულებით გავლენა მოახდინა როგორც ადგილობრივი და უცხოური ვალუტით დაკრედიტების მატებამ, ასევე კურსის გაუფასურების შედეგად, უცხოური ვალუტის სესხების ლარით გამოსახული მაჩვენებლის ზრდამ. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პორტფელის წლიურმა ზრდის ტემპმა კი 17.3 პროცენტი შეადგინა. გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე კი, სესხების წლიური ზრდა 9.2 პროცენტი იყო. საკრედიტო პორტფელის 89.4 პროცენტი გრძელვადიან სესხებზე მოდიოდა, რომლის 89.3 პროცენტი უცხოური ვალუტით იყო გაცემული. მოკლევადიან სესხებში კი უცხოური ვალუტით სესხების წილი 42.9 პროცენტს შეადგენდა.

სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 374.4 მლნ ლარით (2.9 პროცენტით) გაიზარდა და 17.49 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად ფიზიკური პირების გრძელვადიანი დაკრედიტების ზრდით იყო განპირობებული.

უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა აპრილში 138.4 მლნ აშშ დოლარით (2.2 პროცენტით) გაიზარდა, წინა თვესთან შედარებით და პერიოდის ბოლოს 6.56 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამ კატეგორიის კრედიტების 61.8 პროცენტს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენს, ხოლო 89.3 პროცენტი გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს.

მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით **მილიონი ლარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით **მილიონი ლარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით **მილიონი ლარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით **მილიონი ლარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, მიმდინარე წლის აპრილში, 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.0 პროცენტს შეადგენს. უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 0.1 პროცენტული პუნქტით და 6.4 პროცენტს შეადგენს. ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პროცენტული პუნქტით, 15.3 პროცენტამდე გაიზარდა. ეროვნული ვალუტით სესხების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთები ფიზიკური პირებისთვის 0.1 პროცენტული პუნქტით, 17.8 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო იურიდიული პირების სესხებზე 0.3 პროცენტული პუნქტით, წლიურ 12.2 პროცენტამდე გაიზარდა. უცხოური ვალუტის შემთხვევაში, იურიდიული პირების სესხებზე საპროცენტო განაკვეთები შემცირდა 0.2 პროცენტული პუნქტით და 6.5 პროცენტის დონეზეა, ხოლო ფიზიკური პირების მიერ უცხოური ვალუტით აღებული სასესხო განაკვეთები კი, 0.1 პროცენტული პუნქტით 6.2 პროცენტამდე გაიზარდა. წინა წლის აპრილთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტის სესხებზე 0.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო ეროვნული ვალუტის სესხებზე - 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

სესხების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4. სავალუტო ბაზარი

1. გაცვლითი კურსი

აპრილში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ საშუალოდ 3.3356-დან 3.4367-მდე (3.0 პროცენტით), ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 3.9728-დან 4.1018-მდე (3.2 პროცენტით) გაუფასურდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 3.4503 და 4.1818 შეადგინა, შესაბამისად.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ, თვის საშუალო



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 3.4548, ხოლო მინიმალურმა 3.4069 შეადგინა. შესაბამისად, თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან მაქსიმალური გადახრა 0.5 პროცენტი, ხოლო მინიმალური -0.9 პროცენტი დაფიქსირდა.

საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე დოლარი ევროს მიმართ საშუალოდ 0.2 პროცენტით გაუფასურდა, ხოლო თურქული ლირის მიმართ - 6.7 პროცენტით და რუსული რუბლის მიმართ 2.1 პროცენტით გამყარდა, სომხური დრამისა და აზერბაიჯანული მანათის მიმართ კი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა[1].

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური მერყეობის დიაპაზონი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

[1] წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა თვესთან შედარებით ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 1.2 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.4 პროცენტით გაუფასურდა. წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 5.9 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 6.9 პროცენტით გაუფასურდა.

სავაჭრო პარტნიორთაგან აპრილში წლიური ინფლაცია საქართველოში დაფიქსირებულ 7.2 პროცენტზე მაღალი იყო თურქეთში 17.1 პროცენტი, ბელორუსში - 8.6 პროცენტი და უკრაინაში - 8.4 პროცენტი, ხოლო დაბალი იყო სომხეთში 6.2 პროცენტი, რუსეთში - 5.5 პროცენტი, აზერბაიჯანში - 4.3 პროცენტი, აშშ-ში - 4.2 პროცენტი და ევროზონაში - 1.6 პროცენტი.

ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ 2012=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2. სავალუტო ბაზრის ტენდენციები

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი

2021 წლის აპრილში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 144.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე - 40.6 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის აპრილის მონაცემზე კი 59.4 მლნ აშშ დოლარით მეტია. იმავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით - 8.3 პროცენტით, წლიურად კი 15.7 პროცენტით გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზრის კონცენტრაცია გაიზარდა: ბანკთაშორის სავალუტო გარიგებების მთლიანი თანხის 58 პროცენტი (მარტი - 52 პროცენტი) ქვეყანაში მოქმედი 15 ბანკიდან და 5 არასაბანკო ორგანიზაციიდან 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციაზე მოდის. დადებული გარიგებების რაოდენობის მიხედვით, ყველაზე აქტიურ 5 ორგანიზაციას ბაზრის 58 პროცენტი უჭირავს. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი გაიზარდა და 9 პროცენტია (მარტი - 8 პროცენტი), რაც დაბალი მაჩვენებელია და სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

[2] რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში

ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი და ეროვნული ბანკის წვლილი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ვაჭრობა ბანკებსა და დანარჩენ ეკონომიკურ აგენტებს შორის

აპრილში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები გაიზარდა. უცხოური ვალუტით ლარის ვაჭრობა თითქმის მთლიანად სპოტ გარიგებებით ხდებოდა (99.7 პროცენტი) და 1,546.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მარტის მონაცემთან შედარებით - 104.4 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 556.7 მლნ აშშ დოლარით მეტია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე (68.3 პროცენტი) მოდიოდა, დანარჩენი კი შინამეურნეობებზე (24.1 პროცენტი) და არარეზიდენტ ბანკებზე (2.2 პროცენტი). საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერვენციების წილი 5.4 პროცენტი იყო. სავალუტო ინტერვენციების ახალი, წესებზე დაფუძნებული, მექანიზმის გამოყენებით ეროვნულმა ბანკმა თვის განმავლობაში 0.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ამ პერიოდში ჩატარებულ სამ სავალუტო აუქციონზე კი - 82.9 მლნ აშშ დოლარი.

სებ–ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

[3] სპოტი გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საერთო ჯამში, სპოტ გარიგებებით ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნამ 755.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მარტის მაჩვენებელთან შედარებით - 13.2 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წლიურად 289.3 მლნ აშშ დოლარით მეტია. სეგმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ სპოტ გარიგებებით იურიდიული პირების მიერ უცხოური ვალუტის ყიდვებმა 608.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, შინამეურნეობების შესყიდვები 142.8 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო არარეზიდენტი ბანკების - 4.0 მლნ აშშ დოლარი.

რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოური ვალუტის სპოტ გარიგებებით მიწოდებას, აპრილში 791.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მარტის მაჩვენებელთან შედარებით - 91.2 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წლიურად 267.4 მლნ აშშ დოლარით მეტია. იურიდიულმა პირებმა გაყიდეს 447.7 მლნ აშშ დოლარი, შინამეურნეობებმა - 229.6 მლნ აშშ დოლარი, არარეზიდენტმა ბანკებმა კი - 30.7 მლნ აშშ დოლარი. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაყიდული აშშ დოლარი 83.7 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

სპოტ გარიგებით შეძენილი უცხოური ვალუტა



სპოტ გარიგებით გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში სავალუტო ფორვარდ[4] გარიგებებით ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობამ 4.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც აპრილის მონაცემთან შედარებით - 74.2 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.6 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ფორვარდ გარიგებების ძირითადი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებზე (66.7 პროცენტი) მოდიოდა, ხოლო დანარჩენი იურიდიულ პირებზე (33.3 პროცენტი). ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა -3.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

[4] სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

5. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი

სადეპოზიტო სერტიფიკატები აპრილში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონზე ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 62.5 მლნ ლარი შეადგინა და სრულად განთავსდა 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები, საანგარიშსწორებო ფასით 19.6 მლნ ლარი. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.46 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 8.46 პროცენტს შეადგენს. აპრილში არსებული დაფარვების გათვალისწინებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნომინალური მოცულობა უცვლელია და 60 მლნ ლარია.

3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის საპროცენტო განაკვეთები

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონები აპრილში ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ხუთი აუქციონი, რომელზეც 103.8 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. საანგარიშსწორებო ფასმა 104.9 მლნ ლარი შეადგინა. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ ფასიან ქაღალდებზე ემისიას 2.5-ჯერ გადააჭარბა.

აპრილში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 15, 15, 20, 35 და 18.8 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი 36.3 მლნ ლარით შემცირდა და 5,499 მლნ ლარია.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.46 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 8.46 პროცენტს შეადგენს. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთიც 8.46 პროცენტია, რაც 0.51 პროცენტული პუნქტით მეტია წინა თვის მაჩვენებელზე. ორწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთი 0.56 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 8.54 პროცენტს შეადგენს. ხუთწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთი 0.18 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 8.65 პროცენტია. ხოლო, ათწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთი 8.60 პროცენტია, რაც 0.06 პროცენტული პუნქტით მეტია იანვრის აუქციონზე გაყიდულ ათწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთზე.

შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი აპრილში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის ზრდა შეინიშნებოდა, რაც ძირითადად უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის ზრდით იყო განპირობებული. ბაზრის მთლიანმა ბრუნვამ 3.6 მლრდ ლარი შეადგინა, რაც მარტის მაჩვენებელზე 0.4 მლრდ ლარით, ხოლო, წინა წლის აპრილთან შედარებით 0.3 მლრდ ლარით მეტია.

წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის რესურსის ბრუნვა 0.16 მლრდ ლარით (13.0 პროცენტი), ხოლო, უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის მოცულობა 0.22 მლრდ ლარით (10.9 პროცენტი) გაიზარდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის აპრილში ლარის რესურსის ბრუნვა 0.42 მლრდ ლარით (23.4 პროცენტი) შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტის ბრუნვა 0.72 მლრდ ლარით (46.3 პროცენტი) გაიზარდა.

აპრილში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მთლიან ბრუნვაში ლარის რესურსის ხვედრითმა წილმა 37.5 პროცენტი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.4 პროცენტული პუნქტით მეტი, ხოლო წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 15.9 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.24 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო წლიურად 0.07 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 8.38 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტის შემთხვევაში განაკვეთი თვის განმავლობაში 0.25 პროცენტული პუნქტით, ხოლო წლიურად 0.53 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 1.97 პროცენტია.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ფულადი ბაზრის რესურსის 32.1 პროცენტი ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 67.1 პროცენტი კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

6. საგარეო სექტორის მიმოხილვა

2021 წლის აპრილში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 44.8 პროცენტით გაიზარდა და 371.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საანგარიშო თვეში საქონლის რეგისტრირებულმა ექსპორტმა წლიურად 70.0 პროცენტით მოიმატა და 378.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 56.5 პროცენტით 749.1 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა **მილიონი აშშ დოლარი**



წყარო: საქსტატი

იმპორტი - 2021 წლის აპრილში საქონლის იმპორტი წლიურად 56.5 პროცენტით გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებიდან იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილით გამოირჩეოდა თურქეთი, რაც, ძირითადად, 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების შემოტანას უკავშირდება. რუსეთიდან იმპორტის ზრდა სატელეფონო აპარატების, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, მზესუმზირის ზეთისა და ნავთობაირების, სომხეთიდან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, უკრაინიდან ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინისა და სამკურნალო საშუალებების, ხოლო თურქმენეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვებმა გამოიწვია. დანარჩენი ქვეყნებიდან, კერძოდ, რუმინეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ჩინეთიდან ჰაერის კონდენცირების მოწყობილობების, ხოლო ირანიდან მოსაპირკეთებელი ფილების იმპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, პერუდან და ჩილედან იმპორტის კლება სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების შემოტანის კლებით არის გამოწვეული.

2021 წლის აპრილში ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები იყო: თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, აზერბაიჯანი და გერმანია. ჯამურად, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 59 პროცენტი მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტის წლიური ცვლილება



იმპორტი ქვეყნების მიხედვით (აპრილი 2021)



წყარო: საქსტატი

2021 წლის აპრილში, იმპორტირებული საქონლის მნიშვნელოვან ნაწილს, 7.3 პროცენტს, ნავთობი და ნავთობპროდუქტები წარმოადგენდა, რომელიც წლიურად 161.7 პროცენტით გაიზარდა და მთლიანი იმპორტის ცვლილებაში 7.1 პროცენტული პუნქტი წვლილი შეიტანა. იმპორტზე ზრდის მიმართულებით მსუბუქი ავტომობილების, სატელეფონო აპარატების, მზესუმზირის ზეთის, დიაგნოსტიკური რეაგენტებისა და შერეული საქონლის იმპორტმა (ჯამურად 10.1 პპ) მნიშვნელოვნად იმოქმედა. გარდა ამისა, 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, სამკურნალო საშუალებებისა და ნავთობის აირების იმპორტი შემცირდა. აპრილში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით

	2021 აპრილი		2021 მარტი		2020 აპრილი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	54 780.6	7.3%	58 481.8	7.6%	20 930.4	4.4%
მსუბუქი ავტომობილები	49 889.4	6.7%	49 573.2	6.4%	26 774.8	5.6%
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	44 663.4	6.0%	86 443.0	11.2%	55 015.6	11.5%
დაფასოებული სამკურნალო საშუალებები	36 510.0	4.9%	31 253.6	4.0%	37 518.7	7.8%
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	18 918.3	2.5%	39 631.2	5.1%	21 549.4	4.5%
სატელეფონო აპარატები	13 669.0	1.8%	14 831.7	1.9%	5 927.5	1.2%
ავტომობილები, განკუთვნილი 10 კაცის ან მეტის გადასაყვანად, მძღოლის ჩათვლით	12 062.0	1.6%	8 287.4	1.1%	5.0	0.0%
შერეული საქონელი	8 831.6	1.2%	4 286.1	0.6%	329.0	0.1%
ზეთი მზესუმზირისა, ალისარჩულისა ან ბამბისა და მათი ფრაქციები	8 762.1	1.2%	4 597.1	0.6%	5 110.8	1.1%
რეაგენტები დიაგნოსტიკური ან ლაბორატორიული	7 417.4	1.0%	5 580.4	0.7%	2 321.5	0.5%
სხვა	493 567.4	65.9%	469 725.5	60.8%	303 112.0	63.3%
სულ	**749 071.2**		**772 690.8**		**478 594.7**	

წყარო: საქსტატი

ექსპორტი - 2021 წლის აპრილში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 70.0 პროცენტით გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უკრაინაში ექსპორტის მატებამ, რაც მსუბუქი ავტომობილების, გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე სპირტიანი სასმელების ექსპორტს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია აზერბაიჯანში - მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების, თურქეთში - ტანსაცმლის, შავი ლითონების ჯართისა და ნარჩენების, ხოლო რუსეთში - ყურძნის ნატურალური ღვინოების, მინერალური წყლებისა და მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის ზრდა. გარდა ამისა, ლიეტუვაში ძვირფასი ლითონების ჯართისა და მინერალური წყლების ექსპორტი გაიზარდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩინეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტის მაღალი მაჩვენებლები. ამის საპირისპიროდ, აშშ-ში ფეროშენადნობების, ხოლო შვეიცარიაში ნახევრად დაუმუშავებელი ოქროს ექსპორტი არსებითად შემცირდა.

2021 წლის აპრილში ძირითადი საექსპორტო ქვეყნები იყო: ჩინეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, თურქეთი, ბულგარეთი და სომხეთი. ჯამურად, 7 ძირითადი სავაჭრო პარტნიორის წილმა მთლიანი ექსპორტის 76 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტის წლიური ცვლილება



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (აპრილი 2021)



წყარო: საქსტატი

2021 წლის აპრილში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 70.0 პროცენტიან მატებაში ყველაზე დიდი წვლილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (22.2 პროცენტული პუნქტი) ექსპორტმა შეიტანა. ექსპორტის მოცულობაზე დადებითად აისახა მსუბუქ ავტომობილებზე, ასევე ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე, სპირტიან სასმელებზე, ტანსაცმელზე, მინერალურ წყლებსა და ქიმიურ სასუქებზე საგარეო მოთხოვნის მატება (ჯამურად 27.5 პროცენტული პუნქტი წვლილი მთლიანი ექსპორტში). ამის საპირისპიროდ, ფეროშენადნობებისა და სამკურნალო საშუალებების ექსპორტი არსებითად შემცირდა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ექსპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით

	2021 აპრილი		2021 მარტი		2020 აპრილი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	105 334.5	27.9%	64 305.5	19.7%	55 871.9	25.1%
მსუბუქი ავტომობილები	38 784.0	10.3%	36 596.4	11.2%	6 914.7	3.1%
ფეროშენადნობები	27 747.7	7.3%	31 556.5	9.7%	33 645.4	15.1%
ყურძნის ნატურალური ღვინოები	23 026.3	6.1%	17 851.3	5.5%	11 287.4	5.1%
სპირტიანი სასმელები	14 236.4	3.8%	11 485.7	3.5%	7 716.6	3.5%
მინერალური და მტკნარი წყლები	12 359.4	3.3%	10 946.1	3.4%	10 879.7	4.9%
დაფასოებული სამკურნალო საშუალებები	9 298.5	2.5%	9 813.9	3.0%	15 877.6	7.1%
მაისურები, თბილი კვართები და სხვა ტრიკოტაჟის ნაწარმი, მანქანით ან ხელით ნაქსოვი	7 894.8	2.1%	7 166.7	2.2%	35.0	0.0%
სასუქები მინერალური ან ქიმიური	7 823.9	2.1%	10 182.4	3.1%	6 071.8	2.7%
გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	7 262.8	1.9%	4 641.1	1.4%	16.7	0.0%
სხვა	124 302.0	32.9%	121 375.9	37.2%	74 015.4	33.3%
სულ	**378 070.3**		**325 921.6**		**222 332.3**	

წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2021 წლის აპრილში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობა წინა წელთან შედარებით 145.4 პროცენტით გაიზარდა და 194.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 157.6 პროცენტით 25.8 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

საანგარიშო თვეში რეგიონის ქვეყნებიდან მაღალი ტემპით გაიზარდა აზერბაიჯანიდან (271.8 პროცენტით) და უკრაინიდან (336.0 პროცენტით) გადმორიცხული ფულადი სახსრები, რომელთა წვლილები მთლიანი გზავნილების ცვლილებაში 8.4 და 8.5 პროცენტული პუნქტებით აისახა. ფულადი გადმორიცხვები ასევე თურქეთიდან და რუსეთიდან გაიზარდა. საანგარიშო თვეში მოიმატა ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხულმა თანხებმა (134.7 პროცენტით), რაც იტალიიდან (137.4 პროცენტით), საბერძნეთიდან (114.2 პროცენტით) და გერმანიიდან (133.5 პროცენტით) გაზრდილმა გზავნილებმა განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების ზრდაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა აშშ-დან (155.4 პროცენტით) და კანადიდან (163.8 პროცენტით) მიღებულმა თანხებმა. რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (41.9 პროცენტი) და რუსეთი (17.2 პროცენტი) წარმოადგენდნენ. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიისა და საბერძნეთის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

წილი მთლიან ფულად გზავნილებში (აპრილი 2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვეყნების წვლილი სწრაფი ფულადი გზავნილების ზრდაში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმი - 2021 წლის აპრილში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 140.4 პროცენტით გაიზარდა. ტურისტების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების 91.9 პროცენტი შეადგინა და წლიურად 182.2 პროცენტით მოიმატა. საანგარიშო თვეში ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა შემცირდა.

ვიზიტორები ტიპების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

2021 წლის აპრილში, გლობალურად, მათ შორის საქართველოში, საერთაშორისო მოგზაურობასთან დაკავშირებული შეზღუდვები ნაწილობრივ კვლავ მოქმედი იყო. თუმცა, ვაქცინაციის დაწყებამ და საერთაშორისო მიმოსვლის შედარებითმა გამოცოცხლებამ უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდა განაპირობა - აპრილში წლიურად 104.4 პროცენტით. გასათვალისწინებელია, რომ 2020 წლის აპრილში უცხოელ ვიზიტორთა შემოსვლა პრაქტიკულად შეჩერებული იყო და, შესაბამისად, უცხოელ ვიზიტორთა ასეთი მაღალი ზრდა საბაზო ეფექტს უკავშირდება. რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე დიდი წვლილები ვიზიტორების ზრდაში თურქეთიდან (20.1 პპ), უკრაინიდან (13.8 პპ) და აზერბაიჯანიდან (13.8 პპ) შემოსულმა ვიზიტორებმა შეიტანეს. ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორთა რაოდენობა 9.6-ჯერ გაიზარდა, რამაც მთლიან ზრდაში 10.0 პპ წვლილი შეადგინა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ისრაელიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, როგორც მატების (13925.0 პროცენტი), ასევე მთლიან ზრდაში მაღალი წვლილით (10.0 პპ).

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები – 2021 წლის აპრილში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 34.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. საერთაშორისო რეზერვებზე ზრდის მიმართულებით ძირითადად იმოქმედა სავალუტო ფონდის მიერ „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში ჩარიცხულმა კრედიტმა (დაახლ. 112 მლნ აშშ დოლარი), ხოლო კლების მიმართულებით - სავალუტო ინტერვენციებმა და მთავრობის სავალუტო ხარჯებმა. აღსანიშნავია, რომ აპრილის თვეში ფინანსთა სამინისტრომ 2011 წელს გამოშვებული ევრობონდების (500 მლნ აშშ დოლარის ოდენობით) რეფინანსირება მოახდინა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები **მილიარდი აშშ დოლარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, სანაპიროს ქ. N2
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ-ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge